# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 11 შაბათი, 16 იანვარი 1910 წ. № 11



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40-კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დავით ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

**კედლის კალენდარი 1910 წლის**

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა. და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А", И. С. Агладзе.



**ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე მახარაძე შვილებითურთ და გიორგი ალექსანდრეს ძე ხუტულაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს ქალის, მეორე—დისწულის ქალთა კერძო პროგიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

**ლიზიკო მახარაძისას.**

გამოსვენება ცხედრისა კვირას, 17 იანვარს, ქუთაისი, პოლიციის ქ., საკუთარი სახლი, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. (1—კვ.—1)



კვირას, 17 იანვარს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**სიმონ ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მიცვალებულის ქვრივი, ძმა, ძმის შვილები და რძლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (კვ. 2—2)



**კნ. მარიამ (ციცინო) ჩიქოვანის ასული დადეშქელიანისა, ლევან და მურზახან დადეშქელიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელ მამის

**თავ. ბექირბეი ჯანსუხის ძის დადეშქელიანისას**

დაკრძალვა დანიშნულია 16 იანვრისთვის სოფ. ცხუმარში (ზემო სვანეთი). (3—6.—3)



**ს ა ხ ა ლ ხ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი**

(სახალხო სახლი ზუბალაშვილისა).

**კვირას, 17 იანვარს,** ქუთაისის ქალთა გიმნაზ. მასწავლებელი **ი. მ. გიგინეიშვილი** წაიკითხავს ● **ლექციას** ● შემდეგ თემაზე:

**სპერანსკი და მისი პროექტი**

სახელმწიფოს **რეფორმები 1809 წ.** რუსეთის საზოგადოებრივ იდეის ისტორიიდან.

ლექციის შემდეგ გაიმართება

**კ ო ნ ც ე რ ტ ი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სტოგინა, დუბასოვა; ბ-ნნი ბუტი, გართანოვი, გალხოვი, მარიშევი, ძმები **პალცევები** დაუკრავენ სკრიპკაზე, როიალზე დაუკრავს მ. ფ. ზეიცი. დასაწ. დილ. 11 ს. ფასები ლექციისა და კონცერტის პარტ. 10 კ. ბალკ. 5 კ. ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში, ისე რკინის გზის საქველმოქმედო: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების" დეპოში ნ. იასტრებოვთან, ვაგონის პარკში კ. ოტტო, საქონლის სადგურში გ. ფილია, ტრამვაიში არლიძე და ენფიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილი. (2—1)



ცნობილი ფირმა **აბრეშუმის თესლისა**

**ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა**

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით **განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა** თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს **ი. გოკიელოვის შ**—ს ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—6.—2)



წარმოდგენა № 27. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 27.

**კვირას, 17 იანვარს 1910 წელს.**

**ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**უ ი ლ ი ა მ შ ე ქ ს პ ი რ ი**

**ჰამლეტ**

ტრაგედია 5 მოქმედებად თარ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, სვიმონიძე, ი. ივანიძე, მ გალობლიშვილი, მურვანიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ყივიძე, შ. ხაფაროვი, ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „სამეგრელოს მთავარი ლევან", „სად მიხვალ".

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**



**შაბათს, ამა იანვრის 23-ს**

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება**

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

**სალიტერატურო-სამუსიკო საღამო**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილშაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ვ. ურუშაძე.

**ქართული და ევროპიული ცეკვა**

ნაშუაღამევის 2 საათამდის

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი $8^1/_2$ ს ა ა თ ზ ე.** (8—2)



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და სახებით ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—85)



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—247)



კვირას, 17 იანვარს, 1910 წელს, დილის 10 საათზე **ბირჟის დარბაზ'ში** დანიშნულია **„ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების"** წევრთა

**დამფუძნებელი კრება**

განსხილველი საგნებია: 1) მიმდინარე წლის დაახლოვებით ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 2) ახალი წევრების მიღება; 3) საზოგადოების წევრთათვის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსება; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა; 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიისთვის ინსტრუქციის შედგენა; 6) წესდების ზოგიერთ §§ შეცვლა.

მსურველ შეუძლია კრების დღესვე საზოგადო წევრად ჩაეწეროს. (1—192—1)





**ძმ. ნიკიტინების ცირკი.**

**გასტროლი იაპონურ დასისა.**

შაბათს, 16 იანვარს, 1910 წელს, **„ჩვენი შაბათები,** დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. სხვათა შორის, **მეოთხე გასტროლი** შესანიშნავ **ი ა პ ო ნ უ რ დ ა ს ი ს ა,** რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სასახლის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. პირველი დებიუტი იაპონელ არტისტის **ისარტანი სამისა**

იაპონიური დასი ყველას გაოცებას იწვევს.

დასი გამოვა ღამის 11 საათზე.

იაპონიის დასი მხოლოდ 5 გასტროლზეა მოსული.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

**ანონსი:** კვირას ორი წარმოდგენა—დილით და საღამოთი. დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**



**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმუთის ქუჩა), აბულაძის მეხაზვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—დ.—14



**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)



**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ



**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—76)



**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ (25—6.—26



**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)



**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—35)



**ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფები მიიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ი ა პ ი ა—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—8)



**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—149)



**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—343)



**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—93)



**ექიმი ზ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 სათზე. ავლაბარი, კაზენოვის ქუჩა N 17ა პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—1



**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—83)



**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)



**ექიმი გ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—72)



**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



**ვერის სახალხო აუდიტორია**

შაბათს, 16 იანვარს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ზარდალიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება

**„დ ა მ ნ ა შ ა ვ ე"?**

დრამა 3 მოქ. ფოსისა, თარ. ნიკიტინისა.

ადგილების ფასები 5 კ. 25 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



● **იყიდება მიწა!** ●

**შემთხვევით**

ძლიერ იაფად, საბურთალოზე, არტილერიის კაზარმებთან, სადაც არჩუაძე სახლებს აშენებს, იქვე ახლოა არის ეს მიწაც, 200 ოთხკ. საჟ., სადაც შეიძლება აშენდეს მაღაზიებისათვის გამოსადეგი შენობა. სამოსახლოდაც ძლიერ კარგი და მოზიდნილია, რადგან დიდი ქუჩის პირს აქვს ფასადი. მსურველს შეუძლიან ფასის გაგება ვერის ხიდთან, შეშის საწყობში, რ. დ. კორძაიასთან. (1—121—1)


## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14-15 იანვარი.

### არჩევნები ინგლისში

**ლონდონი.** ნაშუაღამევის $12^1/_2$ საათამდის აირჩიეს 238 უნიონისტი, 213 ლიბერალი, 36 მუშათა პარტიის წევრი და 71 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 112, ლიბერალებმა 15, მუშათა პარტიამ 1 ადგილი.

**ლონდონი.** როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ლიბერალებს ლანკაშირსა და დევონშირში ორი ახალი ადგილი შეუძენიათ. უნიონისტებს სხვა და სხვა ადგილას მოუგიათ ხუთი ადგილი. დევონშირის ოლქში 1908 წლის დამატებით არჩევნებში უნიონისტებმა გაიმარჯვეს, ეხლა კი ლიბერალებმა. ასარჩევია კიდევ 74 დეპუტატი, აქედან 27 დეპუტატს დღეს აირჩევენ.

**ლონდონი.** ნაშუაღამევის 2 საათამდის აირჩიეს 255 უნიონისტი, 233 ლიბერალი, 38 მუშათა პარტიის წევრი და 72 ნაციონალისტი. უნიონისტებმა მოიგეს 117, ლიბერალებმა 17, მუშათა პარტიამ ერთი ადგილი.

### საზღვარ-გარედ

**პარიზი.** პრეზიდენტმა ფალიერმა და მინისტრებმა ბრიანმა და მილიერანმა დაათვალიერეს ის ადგილები, რომლებიც წყალდიდობისგან დაზარალდნენ. ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში გადაიყვანეს 3000 დაზარალებული კაცი. ზოგიერთებმა უარი განაცხადეს—ჩვენ სახლებს თავს არ მივანებებთ, მხოლოდ საჭმელ-სასმელი მოგვაწოდეთო. მთავრობამ ზომები მიიღო იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ნავებით დადიან და დაზარალებულთ სცარცვავენ.

**ნიუ-იორკი.** ბლიუფილდსიდან იუწყებიან: რევოლიუციონერების და მთავრობის მთავარ ძალებს შეტაკება მოუვიდათ. ბრძოლამ ერთ საათს გასტანა. ბრძოლის შემდეგ მთავრობის ჯარმა უკან დაიხია. რევოლიუციონერებს მოუკლეს და დაუჭრეს 400 კაცი ამბობენ, რომ მთავრობის ჯარს გაცილებით დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ბელლინცონა.** ფურკილოს უღელტეხილზე თოვლის ზვავის ქვეშ მოჰყვა 6 კონტრაბანდისტი. ექვსივენი დაიღუპნენ.

**პალერმო.** ეს ორი დღეა დიდი ქარიშხალია. ზარალი დიდია. ბევრ ადგილას ტელეფონის და ტელეგრაფის მუშაობა შეწყვეტილია. დაიღუპა მეთევზეების რამდენიმე ნავი. მეთევზეები გადაარჩინა გერმანელების გემმა „განზამ".

**ლონდონი.** სპარსეთის ყურეში გაიგზავნა ინდოეთის პოლკი. ამის შესახებ რეიტერის სააგენტო იუწყება: შესაძლებელია ადგილობრივი მცხოვრებნი აღელდნენ, რადგან მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც საიდუმლოდ იარაღი შეაქვთ. ამ შემთხვევაში ინგლისის კონსულს ჯარი დასჭირდებათ.

**ქრისტიანია.** დაიწყო სტორტინგის სხდომები. სტორტინგი გახსნა მეფემ. მეფემ სეფე-სიტყვაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი გვაქვს, დაინტერესებულ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება არ შეგვიწყვეტია შპიცბერგენის შესახებ და მალე კანონპროექტს შემოვიტანთ, რომლითაც სამედიატორო სასამართლოები დაწესდება მეწარმეების და მუშების უთანხმოებათა გასარჩევად.

**პარიზი.** სენა თან-და-თან მატულობს. დღეით დიდი თოვლი მოვიდა. სამხედრო მინისტრმა პარიზი ხუთ უბნად დაყო, თვითეულ უბანში უფროსად სათადარიგო ოფიცერი დანიშნა. ამ ოფიცრების მოვალეობა შედგება ხელმძღვანელობა გაუწიონ მცხოვრებლების გადარჩენას. ნავთსადგურებიდან ჩამოვიდა 120 მეზღვაური ნავით. ისინი შემწეობას გაუწევენ დაზარალებულთ.

**ბერლინი.** რეიხსტაგის კომისიამ უარჰყო კანონ-პროექტი გერმანია-პორტუგალიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

**ბერლინი.** აქაურ პოლიტიკურ წრეებში ძალიან დაინტერესებულნი არიან იმ ცნობებით, რომ მოლაპარაკება გამართული რუსეთ-ავსტრიის დაახლოვების შესახებო. იმედი აქვთ, რომ რუსეთ და ავსტრიის შორის მალე დამყარდება მეგობრული კავშირი.

რეიხსტაგმა განიხილა შეკითხვა ზოგიერთ გენერლების მოქმედების შესახებ. რამდენიმე ხნის წინად გენერლები ჯარში აგიტაციას სწევდნენ ომის სასარგებლოდ. სამხედრო მინისტრმა ამის შესახებ სთქვა: აფიცრებს ზოგიერთ შემთხვევაში უფლება აქვთ ჯარში აგიტაცია გასწიონ, მაგრამ არ შეუძლიანთ პოლიტიკაში ჩაერივნენ და ომი იქადაგონ. ვეთანხმები ზოგიერთ ორატორებს, რომ სამხედრო მზადებაზედ დიდ ფულსა ვხარჯავთ, მეორეთ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ ძლიერის ჯარის საშუალებით შეგვიძლიან მშვიდობიანობის დაცვა და გერმანიის უზრუნველყოფაო.

**ვენა.** გაზეთები ბევრსა სწერენ რუსეთ-ავსტრიის მომავალ დაახლოვებაზედ. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" სწერს: რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულების გაუმჯობესების საკითხი მწავე საკითხია. რუსეთი და გერმანია ძალიან მოწადინებულნი არიან ამისი და პირობებიც ხელს უწყობენ რუსეთ-ავსტრიის დაახლოვებასაო. საღამოს გაზეთი „ვანერ-ალგემეინე-ცაიტუნგი" სწერს: ორთავე სახელმწიფოების განზრახვა გულწრფელია. რუსეთ-ავსტრიის დაახლოვება დამყარებული იქნება ბალკანეთის ახლანდელ მდგომარეობის დაცვაზე, რასაც ყველა სახელმწიფო თანაუგრძნობს და კერძოდ გერმანიაო.

**ბრესტი.** უესსანის ახლო დაიღუპა რუსეთის სავაჭრო გემი „მიკულსი". გემის მოსამსახურეები გადაარჩინეს.

**პეკინი.** პრინცმა-რეგენტმა დაამტკიცა საერო განათლების მინისტრის მოხსენება პეკინის უნივერსიტეტის გადაკეთების შესახებ. უნივერსიტეტში გაიხსნება შემდეგი ფაკულტეტი: კლასიკურ ლიტერატურის, იურიდიული, საბუნების-მეტყველო, ფილოლოგიური, სააგრონომიო, ტეხნოლოგიური, სამთო და კომერციული. კლასიკურ ლიტერატურის ფაკულტეტზე მიიღებენ უცხოელ სტუდენტებსაც.

**ტოკიო.** დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირ ხმებს ავრცელებენ, რუსეთ-იაპონიის მეგობრული კავშირი უფრო მტკიცე ხასიათს იღებს. ორივე სახელმწიფოები სცდილობდნენ და სცდილობენ თანხმობით იმოქმედონ. შეერთებულ შტატების წინადადება მანჯურიის რკინის გზების შესახებ უარვყავით, რადგან ჩვენ ინტერესებს არღვევდაო.

**პარიზი.** ლუვრის მუზეუმის, გარეშე საქმეთა სამინისტროს და ზოგიერთ სახლების სარდაფები წყლით აივსო. გერმანიის საელჩოს სადგომს აგრეთვე ბედი მოელის; პარიზის ბევრ ადგილას ტრამვაის მუშაობა შესწყდა.

**ქრისტიანია.** პრემიერ-მინისტრმა მეფეს თხოვნა მირთვა სამინისტროს გადადგომის შესახებ. მეფემ მიიღო თხოვნა და სთხოვა, სამინისტრო დროებით დარჩეს. პრემიერ-მინისტრმა მეფეს ურჩია, სამინისტროს შედგენა მემარჯვენეების ლიდერს, ბრატლიეს მიანდეთო.

**პარიზი.** ბერსის უბანი სულ წყლით აივსო, პრკოლიის ისევე ბედი მოელის. მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია. ბურბონის სასახლე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სადგომი წყლით აივსო. დეპუტატთა პალატაში შესვლა მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლება. რამდენიმე ათი სოფელი სულ წყალში.

**ბრაუნშვეიგი.** გუშინ სოციალ-დემოკრატებმა დემონსტრაცია მოახდინეს საარჩევნო უფლების შეცვლის სასარგებლოდ. უცნობმა ესროლა რევოლვერი პოლიციელს. პოლიციელმა იარაღი იხმარა. ბევრი დემონსტრატი დააპატიმრეს არიან დაჭრილებიც, მათ შორის ერთი პოლიციელი.

**გლეივიცი.** (სილეზია) პოლიციას შეტაკება მოუვიდა პოლიციელებთან. პოლიციელების მისაშველებლად ჯარი გამოიწვიეს. ბევრი კადაიჭრა.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათონიდან დეპეშით ატყობინებენ: სამხედრო ლიგამ სამინისტრო გადააყენაო.

**კამპო-ბასსო.** (აბრუცცა). ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. მოკვდა 2, დაშავდა 10 მგზავრი.

### სპარსეთი

**თეირანი.** ქალაქის მოედანზედ ჩამოახრჩეს ალად დოვლეს ძისწული, მავაზგ-სულთანე. მავაზგ-სულთანე ნაშა პარის სხვა თანამოაზრეებთან ერთად სპარსეთიდან განდევნეს. მაგრამ იგი თავის ნებით სპარსეთში დაბრუნდა. ჩამოხრჩობის შემდეგ მავაზგ-სულთანეს გვამი მოედანზედ დასტოვეს და ბრბო ათასნაირ შეურაცყოფას აყენებდა მიცვალებულის გვამს. რუსეთის ელჩის წინადადების შემდეგ, მავაზგ-სულთანე მიწას მიაბარეს.

ყაზახთა ბრიგადის აფიცრების ერთი ნაწილი (ადგილობრივი მკვიდრნი) მეჯლისში მივიდნენ და განაცხადეს: ჩვენ მთავრობის ერთგული ქვეშევრდომი ვართ და უარს ვამბობთ იმ პრივილეგიებზედ, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ და სხვა ჯარს კი არ აქვსო. ამას გარდა, აფიცრებმა საჭიროებად აღიარეს, რომ განსაზღვრული იყოს მათი მოვალეობა, რაიც მხოლოდ ინსტრუქტორობაში უნდა გამოიხატებოდეს და არა უფროსობაში. ყაზახთა ბრიგადის უფროსის ბრძანებით ყველა ეს აფიცრები სამსახურიდან დაითხოვეს.

**ლონდონი.** სპარსეთის მთავრობა ინგლისს და რუსეთსა სთხოვს, რომ მომავალ სესხის ანგარიშში ავანსად სპარსეთს მისცენ 400,000 გირვანქა. რუსეთი და ინგლისი თანახმანი არიან სპარსეთს განზრახულ სესხის ნახევარი მისცენ. სპარსეთის მთავრობას ეს ფული სჭირია გზების დასაცავად, წესიერების აღსადგენად და ჯარის ჯამაგირისთვის.

### ჰაერში ფრენა

**მარნის-შალონი.** რუსი ავიატორი ეფიმოვი 53 წუთში 55 კილომეტრს გაფრინდა. ეფიმოვი 150 მეტრის სიმაღლეზედ ავიდა.

### მოწოდება ფინლიანდიის სასარგებლოდ

**ბერლინი.** ბერლინის, მიუნხენის, ლეიპციგის, გეიდელბერგის, გეტინგენის, იენის, ფრეიბურგის, ვირცბურგის, ბრესლავის და ვენის უნივერსიტეტების პროფესსორებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც ფინლიანდიის მდგომარეობას ეხებიან. პროფესსორები სწერენ: ჩვენ სრულებითაც არ გვინდა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩავერიოთ, მაგრამ ის უთანხმოება, რომელიც რუსეთის მთავრობას და ფინლიანდიელებს შორის ჩამოვარდა ევროპის და ყველა კულტურულ სახელმწიფოების ინტერესებსაც ეხებაო. ფინლიანდიის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მოსპობა, ან შეკვეცა უფლებრივ წესწყობილების დარღვევას ნიშნავს. ჩვენ ძალიან გვეწყინება ფინლიანდიის თავისებურ კულტურის დაღუპვა და ვერც კი წარმოვიდგენთ, რომ რუსეთის ხალხმა და კერძოდ მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ ფინლიაიდიის დაღუპვაშიო.

ამ მოწოდების შესახებ „კელნიშე-ცაიტუნგი" სწერს. ვშიშობთ, რომ ამ მოწოდებამ ფინლიანდელებს სარგებლობის მაგიერ ზარალი არ მოუტანოს. მოწოდებაში რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას დაინახავენ. ამის გარდა, გერმანიის მოწინააღმდეგე ელემენტები უფრო გააძლიერებენ თავიანთ სახიფათო მოქმედებასო. ამ აზრს ემხრობიან „პოსტი" და „დოიტშე-ცაგერ-ცაიტუნგი": არ შეგვიძლიან რუსეთს უსაყვედუროთ, თუ მას მოწოდება გააბრაზებს. არც ერთი ხალხი ნებას არავის მისცემს მის შინაურ საქმეებში ჩაერიონო. გერმანელებმა არ უნდა იკისრონ ეს როლიო.

**ბერლინი.** ოფიციალური წრეები ძალიან სწუხან, რომ გერმანელმა პროფესორებმა ფინლიანდიის სასარგებლო მოწოდება გამოაქვეყნეს. ოფიციალურ წრეების აზრით, ეს მოწოდება რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაარევას ნიშნავს, რუსეთის ინტელიგენცია რომ გერმანიის და პოლონელების, ან ელზას-ლოტარინგიის დამოკიდებულებაში ჩაერიოს, გერმანია ენერგიულ ზომებს მიიღებდა ამის წინააღმდეგო. დიდი გაზეთებიც ამავე აზრისანი არიან.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია გერციკის საქმე. გერციკმა გამოსცა წიგნაგი „ეკლესია და სახელმწიფო", რომელშიაც მთავრობამ ეკლესიის შეურაცყოფა დაინახა. სასამართლომ გერციკს წელიწად ნახევარი ციხე გადაუწყვიტა.

**ახალი ბუხარა.** შიიტებს და სუნიტებს შუა არეულობა მოლებმა გამოიწვიეს, რომლებმაც სპარსელებს შეურაცყოფა მიაყენეს სარწმუნოებრივ წესების ასრულების დროს. ემირის ბრძანებით ჩამოვიდა შახრისიაბის ბეგი ნასრულა-ბიპარავანატი. მას დავალებული აქვს კუშბეგთან ერთად ხალხი დააწყნაროს. ჯერ-ჯერობით მათი მოქმედება უშედეგოა. ბუხარის ჯარი ჯეროვნად არ მოქმედებს. სუნიტები და შიიტები ერთმანეთს არ ინდობენ. სულ მოკლულია 50 კაცი. დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია. რუსეთ ბუხარიის საავადმყოფოში მოიყვანეს 16 დაჭრილი, მათ შორის ერთი რუსის ქვეშევრდომი მაჰმადიანი.

**მოსკოვი.** დაიწვა ისტომინის ქარხანა. ზარალი 300,000 მანეთს უდრის.

**ახალი ბუხარა.** 14 იანვარს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას რამდენიმე კაცი მოჰკლეს. კუშბეგი სცდილობს შეჰკრიბოს გავლენიანი პირები და მათის საშუალებით ხალხი დაამშვიდოს. ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხი ქალაქში იყრის თავსა. ნაშუადღევის შემდეგ რამდენიმე სახლი გაცარცვეს. ხალხი ძალიან აღელვებულია კუშბეგის და მის თანამოაზრე შიიტების წინააღმდეგ. სუნიტები და შიიტები რუსებს და რუსის ჯარს კარგად ეპყრობიან. ბევრი თხოულობს, რომ წესიერება რუსებმა აღადგინონ. რუსის ქვეშევრდომები და ადგილობრივი მკვიდრნი ქალაქს ყაზახების თანხლებით სტოვებენ. თუ მალე წესიერება არ დამყარდა, ქალაქს რუსის ჯარი დაიჭერს.

**პეტერბურგი.** დილის 4 საათზე ჩამოახრჩეს პეტროვი, პეტერბურგის დამცველ პოლიციის უფროსის, პოლკოვნიკ კარპოვის მკვლელი.

**ლოძი.** სადგურ კოშიუშკაზე დააპატიმრეს იაბლონოვსკი. ბრალდება ენდერის ქარხნიდან 10,000 მანეთის მოტაცება.

**ახალი ლადოგა.** დააპატიმრეს ყალბი ფულის მკეთებელი. დაპატიმრებულის სახლში იპოვეს ყალბი ფულის საკეთებელი იარაღი და აუარებელი ყალბი ოქროს და ვერცხლის ფული.

**ბუხარა.** ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ ქალაქის მიდამოებში კანტი-კუნტი სროლა იყო. კუშბეგის თხოვნით ქალაქში რუსის ჯარი ჩამოვიდა. მცხოვრებლები მშვიდობიანად შეხვდნენ რუსის ჯარს. კუშბეგმა დეპეშა მიიღო, რომ წესიერების აღსადგენად ჩამოვა ემირის მემკვიდრე. მემკვიდრეს თან ახლდება ბუხარის ყაზახთა ორი ასეული.

**ზლატოუსტი.** პოლიციამ სამქედლოში აღმოაჩინა ყალბი ფულების ქარხანა. დააპატიმრეს სამჭედლოს პატრონი და მისი შვილი.

**მოსკოვი.** დააპატიმრეს ფედოროვის სახელობის მესტამბეთა საზოგადოების გამგეობის ყველა წევრები. ბრალდებოდათ გაფიცვების ხელის შეწყობა.

**ბაქო.** ექვსი ბოროტგამზრახველი თავს დაეცა ორი ვაჭრის სახლს. ბოროტგამზრახველებმა გაიტაცეს 40 მანეთი და მიიმალნენ.

**ახალი ბუხარა.** ნაშუადღევის 12 ნახ. საათზედ ყაზახთა თანხლებით ჩამოვიდა ემირის მემკვიდრე. ქუჩები სულ ხალხით იყო სავსე. ხალხმა მემკვიდრეს სთხოვა კუშბეგის გადაყენება, არეულობა მაგის ბრალიაო. მემკვიდრემ მოისმინა პოლიტიკურ სააგენტოს გამგის რეშეტოვის და გენერალ ლილიენტალის

---

## სიჩუმე

**ლეონიდ ანდრეევისა.**

II *)

დასაფლავების შემდეგ პატარა სახლში სიჩუმე გამეფდა. ეს დუმილი არ იყო, იმიტომ რომ დუმილის დროს ხმები არ ისმის. სიჩუმე იყო, როდესაც იმათ, ვინც ჩუმად არიან, ლაპარაკი შეუძლიანთ, მაგრამ არა სურთ. მამა ეგნატე ასე ფიქრობდა, როდესაც ცოლის ოთახში შედიოდა და ჰხედავდა ცოლის ჯიუტ და ისეთ მძიმე გამომეტყველებას, თითქო მთელი ჰაერი ტყვიად იქცა და თავსა და მხრებზე აწვებაო. ასევე ფიქრობდა მღვდელი, როდესაც შვილის ნოტებს სინჯავდა, იმ ნოტებს, რომელშიაც ვერას ხმა იყო ჩაბეჭდილი; როდესაც უყურებდა იმის წიგნებს და სურათს, ფერადებიან დიდ სურათს, რომელიც პეტერბურგში დაახატვინა. ამ სურათის სინჯვაში მამა ეგნატემ ერთნაირი წესი შეიმუშავა: ჯერ იმ ლოყას დააცქერდებოდა, რომელიც სურათზე განათებული იყო და იმ ნაფხაჯნს წარმოიდგენდა, რომელიც მიცვალებულ ვერას ამ ლოყაზე ჰქონდა და რომლის მიზეზიც ვერ გაიგო. ამ მიზეზზე მღვდელი ყოველთვის ჩაფიქრდებოდა ხოლმე: თუ მატარებელი მოჰხვდა და იმან გაუფხაჭნა, მაშინ მთელი მისი თავი უნდა გაესრისა. მიცვალებულის თავი კი მთლად უვნებელი იყო. შეიძლება გვამის აწევის დროს ვინმემ შემთხვევით ლოყას ან ფეხი წაჰკრა ან ფრჩხილი.

მაგრამ ვერას სიკვდილის წვრილმანებზე ფიქრი საშინელება იყო და მამა ეგნატე სურათის თვალებს დააშტერდებოდა ხოლმე. თვალები შავი და ლამაზი იყო. გრძელ წამწამების სქელი ჩრდილი ძირს, ქუთუთოებზე იდგა. ამ ჩრდილის მეოხებით თვალის ბაიები უფრო პრიალებდნენ და ისე სჩანდნენ, თითქო ორივე თვალი შავ, სამგლოვიარო ჩარჩოშია ჩასმულიო. უცნობმა, მაგრამ ნიჭიერმა მხატვარმა საკვირველი გამომეტყველება მისცა ამ თვალებს: თითქოს მათ და იმის შუა, რასაც ისინი უცქერიან, თხელი, გამჭვირვალე ლეჩაქი აუფარებიაო. ზაფხულში როიალის შავს სახურავს მტვერი თხელ, შეუმჩნეველ ლეჩაქად ეფარება, რის მეოხებითაც გაპრიალებული ხის ბზინვა ოდნავ მოტყდება ხოლმე. ამასა ჰგავდა ცოტათი სურათის თვალები. სადაც-კი დაჰკიდა მამა ეგნატემ სურათი, თვალები მაინც იმას უყურებდნენ, მაგრამ კი არას ამბობდნენ. ეს სიჩუმე ისეთი გარკვეული იყო, თითქოს მისი სმენა შეიძლებაო, და მამა ეგნატეც თანდათან შეეჩვია იმ აზრს, რომ სიჩუმე ესმოდა.

ყოველ დილით, წირვის შემდეგ, მამა ეგნატე სასტუმრო ოთახში შედიოდა, ცარიელს გალიასაც და სტოლ-სკამებს თვალს ავლებდა, შემდეგ სავარძელში ჯდებოდა, თვალებსა ჰხუჭავდა და სახლად სიჩუმეს ყურს უგდებდა. ეს რაღაც საკვირველი რამ იყო. გალია წყნარად და ნაზად სდუმდა და ამ დუმილში ნაღველი, ცრემლი და შორეული მკვდარი სიცილი იგრძნობებოდა. ცოლის სიჩუმე, კედლებით დაბინდული, ჯიუტი, ტყვიასავით მძიმე და საშინელი იყო, იმდენად საშინელი, რომ მამა ეგნატეს ძალიან ცხელ დღეშიაც-კი სციოდა. გრძელი, სამარესავით ცივი და სიკვდილივით გამოსაცნობი იყო შვილის სიჩუმე. იგი მტანჯველი იყო. საშინლად უნდოდა, რომ სიტყვად ქცეულიყო, მაგრამ მანქანასავით რაღაც ღონიერს და ჩლუნგს იგი გაუნძრევლად ეჭირა და თითქოს მავთულით ეწეოდა. სადღაც შორეულ ბოლოში მავთული რხევას იწყობდა და ნელა, შემკრთალად და საცოდავად წკრიალებდა. მამა ეგნატე სიხარულით და შიშით იჭერდა ამ ჩასახულ ხმას, ხელებით სავარძელს ეყრდნობოდა, კისერს იგრძელებდა და უცდიდა, ხმა მასთან როდის მოვიდოდა. მაგრამ იგი სწყდებოდა და ჩუმდებოდა.

„სისულელეა!"—ამბობდა გაჯავრებული მამა ეგნატე და სავარძლიდან დგებოდა. ფანჯრიდან ჰხედავდა მზით განათებულს, მსხვილ და სწორე ქვით დაგებულ მოედანს. პირდაპირ კი გრძელი და უფანჯრო ქვის კედელი იყო. კუთხეში მეეტლე იდგა. იგი თიხის ქანდაკებსა ჰგავდა და გაუგებარი იყო: რად იდგა იქ, როდესაც მთელი საათობით ერთი გამვლელიც კი არ გამოჩნდებოდა ხოლმე.

III.

გარედ მამა ეგნატეს ძალიან ბევრი ლაპარაკი უხდებოდა. ელაპარაკებოდა მედავითნეს, მრევლს წესის ასრულების დროს, ხან-და-ხან ნაცნობებს, რომელთაც პროფერანს ეთამაშებოდა ხოლმე. მაგრამ როცა შინა ბრუნდებოდა, ისე, ეგონა, თითქოს მთელ დღეს ჩუმად იყო. იმიტომა ხდებოდა ეს, რომ მამა ეგნატე ვერავის ელაპარაკებოდა იმ მთავარ საგანზე, რომელზედაც ყოველ ღამ ფიქრობდა. ეს საგანი მისთვის ძალიან დიდი იყო: რათა, რისთვის მოკვდა ვერა?

მამა ეგნატეს არ უნდოდა შეეგნო, რომ ამისი გაგება ეხლა შეუძლებელი იყო. პირიქით, ფიქრობდა, რომ შესაძლებელიაო. ღამეებს ეხლა უძილოდ ათენებდა. წარმოიდგენდა ხოლმე იმ წუთს, როდესაც ისა და ფოფოდია ღამე ვერას საწოლთან იდგნენ და სთხოვდნენ: „მითხარიო". როდესაც მოგონებაში ამ სიტყვამდის მივიდოდა, დანარჩენი ისე წარმოუდგებოდა ხოლმე, როგორც იყო. მღვდლის დაჭყეული თვალები, რომელთაც შეენახათ ღამის ეს სურათი, ჰხედავდნენ ლოგინზე წამოწეულს, მოლაპარაკე და მოცინარე ვერას. მაგრამ რას ამბობდა ვერა? ვერას მიერ არ თქმული სიტყვა, რომელსაც ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა, ისე ახლო იყო, თითქოს საკმაო იქნებოდა, ყური გადაეწია, გულის ცემა შეეჩერებინა და გაიგებდა ამ სიტყვას. მაგრამ ამავე დროს სიტყვა დაუსრულებლად და უიმედოდ შორს იყო.

ამ დროს მამა ეგნატე ლოგინიდან დგებოდა, გადაჯვარედინებულ ხელებს წინ იწვდიდა და იძახდა:

— ვერა!

პასუხად სიჩუმე იყო.

ერთ საღამოს მამა ეგნატე ცოლის ოთახში შევიდა. თითქმის ერთი კვირა იყო, რაც იქ არ შესულიყო. ფოფოდიას თავით დაუჯდა, მოარიდა პირი იმის მძიმე, ჯიუტ გამომეტყველებას და სთქვა:

— მინდა ვერაზე მოგელაპარაკო... გესმის?

ფოფოდიას თვალებში სიჩუმე იყო. მამა ეგნატემ ხმას აუმაღლა და სასტიკად და მძლავრად დაილაპარაკა, ისე როგორც აღსარების მთქმელთ ელაპარაკებოდა ხოლმე:

— ვიცი: შენა ფიქრობ, რომ ვერას სიკვდილის მიზეზი მე ვარ... მაგრამ აბა დაფიქრდი: განა შენზე ნაკლებად მიყვარდა? საკვირველადა სჯი... მე მკაცრი ვიყავ, მაგრამ ეს ხომ არ უშლიდა ისე მოქცეულიყო, როგორცა სურდა. მე მამის უფლება უარ-ვყავი. მორჩილებით მოვიდრიკე თავი, როდესაც მას ჩემი წყევლისა არ შეეშინდა და იქ წავიდა. შენ, შენ კი დარჩენას არა სთხოვდი, სტიროდი, ვიდრე მე არ გიბრძანე დაჩუმებულიყავ. განა მე ვშობე ისეთი გულ-ქვა? განა არ ვუქადაგებდი სიყვარულს, მოთმინებას და ღმერთზე არ ველაპარაკებოდი?...

მამა ეგნატემ ერთბაშად ცოლს თვალებში შეჰხედა და პირი მიიბრუნა.

— რა შემეძლო მექნა, თუ კი მას თავის დარდის გამომჟღავნება არ უნდოდა? ბრძანებით—ვუბრძანებდი ხოლმე, თხოვნით—ვთხოვდი... იქნება ფიქრობ, რომ იმის წინ, გომბიოს წინ უნდა დამეჩოქნა და ბებერ დედაკაცივით მეტირნა? თავში... მე რა ვიცი, თავში რა ედო? შეუბრალებელი, უგულო შვილი!

მამა ეგნატემ მუხლზე მუშტი დაიკრა.

— სიყვარული არა ჰქონდა—აი რა! ჩემზე რა გელაპარაკო! მე ხომ, ქვეყანამ იცის, გულ-ქვა ვარ... შენ კი უყვარდი, შენ, რომელიც სტიროდი და თავს იმცირებდი?— მამა ეგნატემ უხმოდ გაიცინა. უყვარდი! მაშ! იმიტომაც შენს სანუგეშოდ სიკვდილიც ასეთი ამოირჩია, სამარცხვინო სიკვდილი... ქვიშაზე, ტალახში მოკვდა, ძაღლივით რომელსაც ფეხსა ჰკრავენ...

მამა ეგნატეს ხმამ ნელა ხრიალით გაიწკრიალა.

— მრცხვენიან... მრცხვენიან, რომ გარედ გავიდე. საკურთხევლიდან რომ გამოვდივარ, მრცხვენიან. ღვთის წინ მრცხვენიან. გულქვავ, უღირსო შვილო, საფლავში დასაწყევლო!...

როდესაც მამა ეგნატემ ცოლს შეჰხედა, იგი გულ-წასული იყო და გონს მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა. თვალებში ჩუმი ჰქონდა და არ შეიძლებოდა იმისი გაგება, ახსოვდა თუ არა მღვდლის სიტყვები.

იმავე ღამეს—ივნისის ჩუმი წყნარი და ტკბილი ღამე იყო—მამა ეგნატე ფეხის თითებით კიბეებზე ავიდა, რომ ცოლსა და მსახურ დედა-კაცს არა გაეგოთ რა და ვერას ოთახში შევიდა. იქ ფანჯარა ვერას სიკვდილის შემდეგ ჯერ არ გაეღოთ. ხმელი და ცხელი ჰაერი იდგა. ცოტა ტრუსის სუნიც მოდიოდა. ეს სუნი სახურავის თუნუქისაგან იყო. რაღაც უდაბური და თავ-მინებებული დაჰქროდა ამ ოთახში, სადაც დიდი ხანია ადამიანი არა ყოფილა. მთვარის შუქი ფანჯარასა და იატაკზე ბჭყრიალა ზოლად ეცემოდა. მისი გამონაშუქი ბინდ-ბუნდის მკრთალ სინათლით ანათებდა კუთხეებს და თეთრ, სუფთა ლოგინს, რომელზედაც ორი ბალიში იდო, დიდი და პატარა, და ორივე გამჭვირვალესა და ჰაეროვანსა ჰგავდა. მამა ეგნატემ ფანჯარა გაალო. ახალი ჰაერი ოთახში განიერ ნაკადულად შემოიჭრა. ამ ჰაერს მტვრისა, მახლობელ მდინარის და აყვავებულ ცაცხვის სუნი უდიოდა. ოდნავ გასაგონად შემოდიოდა მომღერალთა ხმა: უეჭველია, ნავებით ცურაობდნენ და მღეროდნენ. ფეხშიშველა, თეთრი

*) იხ. „დროება" N 9

მოხსენება არეულობის შესახებ. მემკვიდრემ განაცხადა, ემირს გადაწყვეტილი აქვს კუშბეგი სამსახურიდან დაითხოვოსო. გუშინ მოჰკლეს კუშბეგის ორი ნათესავი და მისი მოსამსახურეები. დღეს, 15 იანვარს, არეულობა მიწყნარდა. საღამოს 5 საათზედ ემირის მემკვიდრის ბრძანებით ათასამდე ადგილობრივმა მკვიდრმა თავი მიანება კუშბეგის სახლს და მშვიდობიანად დაიშალა.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოდ დასტოვა ნაფიც-ვექილის გილერსონის და მისი დამცველის გრუზენბერგის საკასაციო საჩივარი. გილერსონმა გასულ წელს სასამართლოში დაიცვა აწიოკებული ებრაელები. მის სიტყვაში ეხლანდელ წესწყობილების წინაამდეგ წასვლა დაინახეს, რისთვისაც სამოსამართლო პალატამ 1 წლით ციხე მიუსაჯა.

**ვილნო.** სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა უცნობს, რომელმაც 6 დეკემბერს გენერალ აკიმოვს და პენგოს მოკვლა განიზრახა. გენერალი აკიმოვი უცნობმა გენერალ გერშელმანად მიიღო. უცნობმა სასამართლოში თავის ვინაობის გამორკვევაზე უარი განაცხადა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა ვლადივოსტოკის დამცველ პოლიციის უფროსის ზოკარნიცკის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდა სამსახურის დროს ბოროტ მოქმედების ჩადენა, რისთვისაც სამხედრო სასამართლომ ოთხი წლით კატორგა მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ 12 იანვრის სხდომაზე დადგინა, სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს ორი კანონ-პროექტები. ერთი შეეხება ახალ საუნივერსიტეტო წესდებას და შტატებს, მეორე ქალების გამოცდას გიმნაზიების მასწავლებლობის უფლების მისაღებად.

**ახალი ბუხარა.** 15 იანვარმა მშვიდობიანად ჩაიარა. არავინ მოუკლავთ.

## ეკ. გაბაშვილის ორმოცის წლის მოღვაწეობის გამო.

ამ წლის „დროების" პირველ ნომრის დამატებაში მოთავსებული იყო სურათი ჩვენის ცნობილ მწერალ-ქალის ეკატერინე გაბაშვილისა. როგორც მკითხველიც გაიგებდა, წელს შესრულდა ორმოცი წელიწადი, რაც ჩვენი მწერალი ქალი საზოგადო სარბიელზე გამოვიდა სამოღვაწეოდ, და აქამომდე როგორც თავის მადლიანის კალმით, ისე მთელის თვისის ძალღონით მხარ-და-მხარ მისდევს ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს.

ორმოცი წელიწადი,—ეს მწერლისათვის, რომელსაც-კი ღვთიურ ცეცხლით ანთებია სული, ისეთი დიდი დროა, ისე მძიმეა გონებით მშრომლისათვის, რომ მხოლოდ იშვიათ რჩეულს შეუძლიან პირნათლად მიიტანოს ამ ხანამდე თავისი მძიმე ტვირთი ისე, რომ ან დანიშნულს გზას არ ასცდეს, ან ქვეშ არ მოჰყვეს მძიმე ტვირთს ადამიანთა მოვალეობისას და არ გაიჭყლიტოს. მწერალიც, რომელიც პირნათლადასრულებს თავის დანიშნულებას, რომელსაც უტყუარად შეუგნია თავისი მოწოდება, გულგრილად ვერ იქნება გარშემორტყმულ პირობებში; იგი სცხოვრობს საზოგადო ცხოვრებით, მისი გულის ხმა მუდამ ბანს აძლევს ქვეყნის მაჯის ცემას და, სულ ერთია, გადააქვს თუ არა ქაღალდზე ეს, იგი მაინც ერთგვარად გრძნობს საზოგადო ცხოვრებას.

რამდენადაც გარემოება ხელს უშლის მწერალს, რომ მან თავისი გულის ნადები სხვას გაუზიაროს, იმდენად დიდია მისი სულიერი ტანჯვა; რამდენადაც უფრო დუხჭირია გარშემორტყმული ცხოვრება საზოგადო თუ კერძო, იმდენად უფრო მწვავეა გულის ტკივილი მწერლისა. და რომელს ჩვენგანს შეუძლიან სთქვას, რომ ქართველ მწერლის ხვედრი სამწერლო ასპარეზზე ყოველის მხრით გაუვალის ეკლით არ იყოს მოცული? ქართველი მწერალი უმეტეს შემთხვევაში ან სასტიკ სიღარიბეს განიცდის, ან თუ როგორმე საზრდო მოიპოვა,—ველარ ისრულებს თავის წადილს, უარს ეუბნება თავის სულიერს მოთხოვნილებას და სდუმს იქ, და მაშინ, საცა და როცა მთელი მისი არსება აღობოქრებულ ზღვის ერთს განუწყვეტელ ზვირთთა ბორგვას წარმოადგენს. სავალალოა ხვედრი ქართველ მწერლისა!

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, თუ წინასიტყვაობა გაგვიგრძელდა. ეს, მეათასედიც არ არის იმისა, რის თქმაც შეიძლება ამ საგანზე, მაგრამ ეს სხვა დროსთვის იყოს.

ქართველი საზოგადოება, ქართულის მკითხველი საქართველო კარგად იცნობს ეკ. გაბაშვილს. არ არის არც ერთი დარგი სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, საყმაწვილოა იგი თუ სხვა, სადაც ეკ. გაბაშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს; არ არის არც ერთი ქართული საქმე, სადაც-კი ქალს რაიმე უფლება აქვს მოღვაწეობისა, რომ ეკატერინე გაბაშვილის მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. და ამ ადამიანის ორმოცი წლის მოღვაწეობას უმნიშვნელოდ ვერ ჩაატარებს ქართველობა. თუ კი მთელს ქვეყნიერობაზე წესად დასდეს, რომ ღირსეულ ადამიანის მოღვაწეობა, ღირსეულად აღინიშნოს ხოლმე, ჩვენც უფლება გვაქვს ხმა აღვიმაღლოთ, რომ ქართველ ქალთა შორის ერთი საპატიო ადგილი ეკ. გაბაშვილს ეკუთვნის და იმისი ორმოცი წლის მოღვაწეობის აღნიშვნა ფრიად და ფრიად საჭიროა.

ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს შევეკითხოთ წერა-კითხვის საზოგადოებას, სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებას და ყველა ჩვენებურ კულტურულ დაწესებულებას—მოახდინეს თუ არა საერთო თათბირი ამ საგნის შესახებ და გამოარკვიეს თუ არა როდის და რით აღინიშნოს ეს დღე?

**განდეგილი.**

## ქართული საისტორიო მწერლობა

ოთხშაბათს, 13 იანვარს, დაიწყო პროფესსორ ივ. ჯავახიშვილის ლექციები ქართული საისტორიო მწერლობა და საზოგადოებრივის აზრის განვითარება V—XVIII საუკ. განმავლობაში".

ის წყაროები და საბუთები, რომელნიც ხელთა გვაქვს,—დაიწყო ახალგაზრდა მეცნიერმა, ამგვარად გვიხატავენ ქართულ საისტორიო მწერლობას: უძველესს ხანაში იგი შესდგებოდა მარცვილთა და წმიდანთა ცხოვრების აღწერისაგან. შესაძლოა შემდეგში აღმოჩნდეს წარმართობის დროინდელი ქართული საისტორიო მწერლობაც, მაგრამ ის რაც დღეს ხელთა გვაქვს საისტორიო მწერლობა—საეროც და სამოქალაქოც კი წარმოიშვა წმიდათა და მარცვილთა (მოწამეთა) ცხოვრებიდან. ეს ცხადადა სჩანს თუნდაც იმ ტერმინიდან, „ცხოვრება", რომელიც ქართულ საისტორიო მწერლობაში, ბერძნულ სიტყვა—„ისტორია"-ს უდრის მაგ. „ქართლის ცხოვრება", „აფხაზთა ცხოვრება", „სომეხთა ცხოვრება", „ბაგრატიონთა ცხოვრება" და სხვ. მარცვილთა ცხოვრებანი დაწერილია ან ქადაგების სახით ამა თუ იმ მარცვილის წლის წირვის წარმოსათქმელად, ანა და ეპისტოლეს სახით. მარცვილთა და წმიდათა ამგვარი უძველესი ცხოვრებანი შემდეგ დროში გადააკეთეს. გადაკეთება გამოიწვია იმან, რომ ახალი დროის მკაცრ მართმადიდებლობის მიმართულებისა და გემოვნებას არ შეესაბამებოდა ამ ნაწარმოებთა ზოგიერთი ადგილები. უმეტეს შემთხვევაში ამ გადაკეთების დროს ისტორიულ ცნობებს ყურადღებას არ აქცევდნენ და მეტ მნიშვნელობას უფრო აღმსამრებლობით მიმართულებას აძლევდნენ და სასწაულთ მოქმედების აღწერილობით ავსებდნენ ხოლმე. ამის გამო ამგვარ გადაკეთებულ ცხოვრებათ მეტად ნაკლები ფასი აქვთ, როგორც წყაროს ისტორიისას. ქართულ მწერლობაშიაც იყო ამგვარი მიმართულება გაბატონებული და ამის გამო უძველეს დროიდან ჩვენ მხოლოდ სამი ნაწარმოები-და შეგვრჩა, რომლისათვისაც შემდეგ დროის რედაქტორებს ხელი არ უხლიათ და თავის ტენდენციის მიხედვით არ დაუმახინჯებიათ. ესენი არიან: 1. „წმ. შუშანიკის წამება"—მეხუთე საუკუნის ნაწარმოები თანამედროვეს მიერ აღწერილი. იშვიათად მოიძებნება ასეთი ცნობებით აღსავსე და ისტორიისათვის ძვირფასი საბუთი. აღწერილობა ეკუთვნის შუშანიკის მოძღვარს ხუცესს იაკობს; 2. „ესტატე მცხეთელის მარტვილობა" მეშვიდე საუკუნის ნაწარმოები. (ორივე თხზულება დაბეჭდილია, თუმცა დიდის დეფექტებით, საბინინის „საქართველოს სამოთხეში") 3. „ცხრათა ძმათა კოლაილთა ცხოვრება", სამწუხაროდ უთარიღო (გამოცემულია პროფ. ნ. მარრის მიერ „тек. и роз.") გადაკეთებულ ნაწარმოებთაგან უფრო საყურადღებოა „ათცამეტ ასურელ მამათა ცხოვრება", რომლის უძველეს დაუმახინჯებელ დედანშიაც უეჭველია მდიდარი ცნობები უნდა აღმოჩნდეს, თუ როდისმე ხელთ ჩაგვივარდა.

მერვე საუკუნის მწერალთაგან უნდა აღინიშნოს იოანნე საბანის ძე, რომლის კალამსაც ეკუთვნის აბო თბილელის მარტვილობა. აბო, როგორც ვიცით, ჩამომავლობით არაბი იყო, თავდაპირველად მაჰმადიანი, შემდეგში ქართლის ერისთავს ნერსეს მიემხრო, საქართველოში ჩამოვიდა და აქ მიიღო ქრისტიანობა, და თავის ახალ რწმენის სიმტკიცე აღბეჭდა მარტვილობის გვირგვინით. იოანნე იმდენ ყურადღებას არ აქცევს თვით აბოს პირად ცხოვრებას და მოღვაწეობას, რამდენადაც აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ აბო, არაბი, საქართველოში არაბთა ბატონობის დროს, უარჰყოფს მაჰმადიანობას, ქართულ ეკკლესიის სარწმუნოების აღმასრულებელი ხდება და მოწამეობასაც იღებს ამ სარწმუნოებისთვის. იოანნეს ამ ამბის აღწერით სურს დაარწმუნოს თანამედროვე ქართველი საზოგადოება, რომ აბოს მარტვილობა შედეგია ქართულ ეკკლესიის ძლიერებისა და რომ ამ ეკკლესიის ისეთივე ღირსება აქვს, როგორიც საბერძნეთის ეკლესიას, იოანნე ამტკიცებს, რომ ქართველები მოვალენი არიან ამიერიდან თავიანთ წმიდანებს და მარტვილთ უფრო მეტის თაყვანის-ცემით მოეპყრნენ, ვიდრე წინად. წინად, როგორც ეტყობა, ბერძენთა წმიდანებს უფრო მეტი პატივი ჰქონდათ ქართველების თვალში, როგორც ეს ხშირად ხდება რომელიმე ერის ცხოვრებაში, მას უცხო უფრო მოსწონს და უფრო პატივით ეპყრობა, ვიდრე თავის, მარტო იმიტომ, რომ იგი უცხოა. ამ მიმართულების წინააღმდეგ ამხედრებულა იოანნე საბანისძე. ერთის სიტყვით, იოანნე საბანისძე საქართველოში ეროვნულის მიმართულების განმტკიცების მქადაგებელი იყო.

აბო ტფილელის, როგორც უცხო სარწმუნოების და ჩამომავლობის კაცის, მარტვილობა არა ყოფილა იშვიათი იმ დროინდელ საქართველოში. ესტატე მცხეთელი სპარსელი იყო, რაჟდენიც—სპარსელი. მაგრამ ის, რაც უბრალო მწერლებმა ვერ შესძლეს, შესძლო განსაკუთრებულის ნიჭით მიმადლებულმა იოანნე საბანისძემ და იმ დროინდელ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ვითარების დასურათებით და გათვალისწინებით, ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადოებრივ მნიშვნელობით აღსავსე გარემოებაზე მიუთითა თავის თანამედროვეებს.

მერვე და მეცხრე საუკუნოებში აღორძინდა საქართველოშიაც სამონასტრო მოძრაობა. წინად მეუდაბნოება იყო გავრცელებული, როდესაც თვითეული ბერი განმარტოებით სცხოვრობდა. სამონასტრო წეს-წყობილების დამაარსებლად საქართველოში უნდა ჩაითვალოს **გრიგოლ ხანძთელი.** ამ სამონასტრო წეს-წყობილების დაარსების და მონასტრების და ეკლესიების აღმაშენობლითი სურვილით გატაცებული იყო იმ დროს მთელი ქართველი ერი წოდებათა განურჩევლად. ამ მოძრაობას და მონასტრების დაარსებას დიდი პოლიტიკური, ეროვნული და განმანათლებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთსა და სამცხეში, სადაც წინანდელი მოსახლეობა ამოწყვეტილ იქმნა სპარსთა და ბიზანტიელთა ბრძოლის მიზეზით და ახლად აშენებულმა მონასტრებმა მიიზიდეს ქართლიდან ხალხი და ამგვარად ქართველებმა ხელმეორედ დაისაკუთრეს ეს მხარე. გრიგოლ ხანძთელის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დაწვრილებით არის აღწერილი ეს მოძრაობა და თანდათანობითი ზრდა მონასტრებისა და ეკკლესიების აღშენებისა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება დაწერილია იმის სიკვდილის შემდეგ, იმ დროს, როდესაც საუკეთესო მისი თანამედროვე მოღვაწენი უკვე გარდაცვალებულნი იყვნენ და ავტორს შიში დაებადა, ვაი თუ გრიგოლ ხანძთელის ნაყოფიერი მოღვაწეობა და მისი [illegible] სრულებით აღუწერელი დარჩესო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება მარტო ამ შესანიშნავ კაცის ცხოვრებისა, [illegible] და მოღვაწეობის აღწერას კი არ შეიცავს. იგი მთელ სამცხე-კლარჯეთის იმ დროინდელ სამონასტრო მოღვაწეთა და მოღვაწეობის ისტორიაა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში აუარებელი ძვირფასი და სრულებით სანდო ცნობაა შეკრებილი, ამიტომ ეს ნაწარმოები საუკეთესო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს. მშვენიერის, მომხიბლავის და პოეტურის ენითაა დაწერილი და ძველ ქართულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშია. (ეს ცხოვრება უკვე დაბეჭდილია პროფ. მარრის მიერ, რომელმაც იგი აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წიგნთ-საცავში და ამ ახლო ხანში გამოვა).

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაც შესანიშნავია, მაგრამ ბევრად უფრო მდარე ღირსებისაა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამომცემელს ბ-ნ ჯანაშვილს (იხ. მისი წიგნი, „საქართველოს მწერლობა", წ. 2) ვერ შეუმჩნევია, რომ ეს ნამდვილი თავდაპირველი სერაფიონის ცხოვრება კი არ არის, არამედ ამ ცხოვრებიდან ხელმეორედ გადაკეთებული ნაწარმოებია. არც თარიღი სჩანს, როდის უნდა იყოს დაწერილი და გადაკეთებული ეს ცხოვრება. ამის და მიუხედავად, ამ თხზულებაში მაინც ბევრი საყურადღებო ცნობა მოიპოვება და ჩვენის ისტორიისათვის ძვირ საბუთად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ბ-ნ ჯანაშვილს ხელნაწერის გრამატიკული და მართლწერის შეცდომები სამაგალითო ენის ნიმუშად მიუღია და თავის გამოცემით დაუკანონებია. ამ მხრივ სერაფიონ ზარზმელის ცხოვრებას ჯერ კიდევ აღდგენა ესაჭიროება.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქართველოს ექსარხოსის დეპეშა.** როგორც საქართველოს ექსარხოსის კანცელარია გვატყობინებს, ექსარხოსისაგან 14 იანვარს შემდეგი დეპეშა მოსულა: „გთხოვთ გადასცეთ ყველას, რომ გულწრფე-

---

აჩრდილივით უხმოდ მივიდა მამა ეგნატე ლოგინთან და მუხლის თავებზე დადგა. თავი ბალიშებში ჩაჰყო, სწორედ იქ, სადაც ვერას სახე უნდა ყოფილიყო, ხოლო ხელები ბალიშებს მაგრა მოჰხვდა. დიდხანს იყო ასე. სიმღერა ჯერ გამიანდა, მერე მისწყდა. ის კი ისევ იწვა. მისი გრძელი, შავი თმა მხრებსა და ლოგინზე გაფანტულიყო.

მთვარე გადაწეულიყო და ოთახში ბნელოდა, როდესაც მამა ეგნატემ თავი აიღო. ისე დაიწყო ჩურჩული, თითქოს ამ ჩურჩულში უნდა დიდი ხათრ-შეკავებულ და გულში დაგუბებულ სიყვარულის მთელი ძალა ჩასწუროსო.

— შვილო, ვერა! იცი, რასა ნიშნავს?! შვილო, შვილო! ჩემო გულო, ჩემო სისხლო, ჩემო სიცოცხლევ!.. შენი მოხუცი... შენი მოხუცი მამა უკვე გაჭაღარავებულია, უკვე დასუსტებულია...

მამა ეგნატეს მხრებმა ხტუნვა დაუწყეს და მთელი მისი ტანი აკანკალდა. მღვდელმა ეს კანკალი ჩაიკლა და ნაზად, თითქოს ბავშვს ეალერსებაო, დაიწყო ჩურჩული:

— მოხუცი მამა... გთხოვს... არა, ვერავ, გემუდარება... ტირის... თავის დღეში არ უტირნია. შენი დარდი, ჩემო შვილო, შენი ტანჯვა ჩემია... უფრო მეტი, ვიდრე ჩემი...

მამა ეგნატემ თავი გააქნია.

— მეტია, ვერავ... აბა, რად მიღირს სიკვდილი მე, ბებერს? შენ? რომ იცოდე, როგორი მკრთალი, ნაზი და სუსტი ხარ! გახსოვს, თითი რომ გაიჩხვლიტე, სისხლის წვეთი გაგვარდა, და ტირილი დაიწყე?.. ჩემო შვილო! შენც ხომ გიყვარვარ? ძალიან გიყვარვარ, ვიცი... ჩემს ხელს ყოველ დილით ჰკოცნი ხოლმე. მითხარი... მითხარ, რაზე სევდიანობს შენი პატარა გული და მე აი ამ ხელებით დავახრჩობ შენს სევდას... ჯერ კიდევ ღონიერი ხელები მაქვს, ვერა...

მამა ეგნატეს თმა შეინძრა.

— მითხარ!

კედელს ჩააშტერდა და ხელები წინ გაიწვდინა.

— მითხარ!

ოთახში სიჩუმე იდგა. შორიდან მატარებლის დაწყვეტილი სტვენა დიდ-ხანს ისმოდა.

მამა ეგნატემ დაჭყეტილი თვალები ირგვლივ ისე შემოატრიალა, თითქოს იმის წინ დამახინჯებული, საშინელი მოჩვენება გამოჩნდაო. მღვდელი ნელ-ნელა წამოდგა. ხელები, გაფართხულ, დაჭიმულ თითებით, თავთან მოიტანა, კარებისაკენ დაიწია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაიჩურჩულა:

— მითხარ! მითხარ!..

პასუხად მხოლოდ სიჩუმე იყო.

IV

მეორე დღეს ადრეულ და მარტო-ხელა სადილის შემდეგ მამა ეგნატე სასაფლაოზე წავიდა. ვერას სიკვდილის შემდეგ პირველი იყო სასაფლაოზე წასვლა. არავინა სჩანდა და ისეთი სიწყნარე იყო, თითქოს ეს ცხელი დღე განათებული ღამეაო. მღვდელი წელში გასწორდა. ირგვლივ უკმეხად იცქირებოდა და ფიქრობდა, რომ იგი ისეთივეა, როგორიც წინად იყო. ვერც მუხლების საშინელ სისუსტესა ჰგრძნობდა და ვერც იმას, რომ წვერი მთლად გასთეთროდა, თითქო გულ-ქვა ყინვა მოჰხვედრიაო. სასაფლაოს გზა პატარა აღმართი, ან სწორე და გრძელ ქუჩაზე მიდიოდა. ქუჩის ბოლოში სასაფლაოს ქისკრის თეთრი თაღი მოსჩანდა. ეს თაღი მუდამ გაღებულ და პრიალა კბილებით შემოსილ პირსა ჰგავდა.

ვერას საფლავი სასაფლაოს სიღრმეში იყო. იქ, სადაც ქვიშით დაფენილი ბილიკები თავდებოდა. მამა ეგნატეს ყველასაგან დავიწყებულ, ყველასაგან თავ მინებებულ მწვანე ბორცვებს შუა ზოლად გავლებულ ბილიკებზე დიდხანს მოუხდა სიარული. ზოგან ჰხვდებოდა სიბერისაგან გამწვანებული, გაბრუდებული ძეგლები. ხვდებოდა აგრეთვე დამტვრეული მოაჯირები და მიწაში ჩაფლული, დიდრონი, მძიმე ქვები, რომელნიც დედა-მიწას რაღაცა პირქუშ, დაბერებულ სიბრაზით აწვებოდნენ. ერთ ამისთანა ქვის გვერდით ვერას საფლავი იყო. ეს საფლავი გაყვითლებულ მოლით იყო დაფენილი, მაგრამ გარშემო ყველაფერი მწვანე იყო. ცირცელი ნაკერჩხალს გადაჰხვეოდა, ხოლო თხილის ბუჩქს თავისი განივრად გაშლილ მოქნილ და ბანლიან შრიალა ფოთლებით შემოსილი ტოტები საფლავზე გადაეფარებინა.

მამა ეგნატე საფლავზე ჩამოჯდა, ამოისუნთქა და ულრუბლო, უდაბნო ცას, სადაც მზის გახურებული დისკო ეკიდა, თვალი მოავლო. მხოლოდ ეხლა შეამჩნია ის დუმილი, რომელიც სასაფლაოზეა ხოლმე მაშინ, როდესაც არც ქარი ჰქრის და არც ჩამოცვინული, მკვდარი ფოთოლი შრიალებს. მამა ეგნატეს ხელ-ახლა გაურბინა თავში იმ აზრმა, რომ ეს დუმილი კი არა—სიჩუმეა. ეს სიჩუმე სასაფლაოს აგურის კედლამდის მიდიოდა, ზედ მძიმედ გადაუდიოდა და ქალაქსა ჰფარავდა. სიჩუმის ბოლო იქ არის—ნაცრის ფერ, ჯიუტ და პირდაპირ მაცქერალ თვალებში.

მამა ეგნატემ გაციებული მხრები შეიშმუშნა და თვალები შორს, ვერას საფლავზე, დაუშვა, დიდხანს დასცქეროდა ქარით გარშემოტყმულ, განიერ მინდორზე მოგლეჯილ ბალახის გაყვითლებულ მოკლე ღეროს, რომელიც უცხო ნიადაგს ჯერ ვერ შეჰხორცებოდა. მამა ეგნატეს ვერ წარმოედგინა, რომ იქ, ამ ბალახის ქვეშ, ორი ადლის სიღრმეზე ვერა წევს. ამ სიახლოვეს სულში შფოთი და საკვირველი მოუსვენრობა შეჰქონდა. აქ, ახლოს იყო ის, ვიზედაც ფიქრს მამა ეგნატე ისე მიეჩვია, როგორც დაუსრულებლობას შავ სირმეში სამუდამოდ გაქრილზე.. ძნელი გასაგები იყო, რომ ის აღარ არის და აღარც იქნება როდისმე. მამა ეგნატეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს საკმაო იყო ეთქვა ერთი რაღაც სიტყვა, რომელსაც იგი თავის ტუჩებზე ჰგრძნობდა, ან რაღაცა მოძრაობა ექნა, რომ ვერა სამარიდან ამდგარიყო და ისეთივე მაღალი და ლამაზი სჩვენებოდა, როგორც წინად იყო.

მამა ეგნატემ განიერ კალთებიანი შლიაპა მოიხადა, ტალღების მსგავსი თმები გაისწორა და ჩურჩულით წამოიძახა:

— ვერა!

შერცხვა. შეიძლებოდა, მისი ხმა უცხო ვინმეს გაეგონა. იგი საფლავზე შედგა და სასაფლაოს გადაჰხედა. არავინ იყო მღვდელმა ეხლა ხმა მაღლა წაილაპარაკა:

— ვერა!

ეს ხმა ხმელი, ბებერი და ბრძანებელი იყო. გასაკვირველი იყო, რომ ასეთის ძალით წართმოთქმული ბრძანება უპასუხოდ რჩებოდა.

— ვერა!

მაღლა და ჯიუტად იძახდა ხმა და როდესაც იგი ჰქრებოდა, მამა ეგნატეს ერთი წუთით ისე ეჩვენებოდა, თითქოს იქ, ქვემოდ გამოურკვეველი პასუხი წკრიალებსო. მამა ეგნატემ ერთი კიდევ მიიხედ-მოიხედა, ყურიდან თმა გადიწია და მაგარ, მჩხვლეტავ მოლას ყური დაადო.

— ვერა! მითხარი!..

მამა ეგნატემ თავისდა გასაოცრად იგრძნო, რომ იმის ყურში რაღაც სამარისებურად ცივი შედიოდა და ტვინს უყინავდა, იგრძნო, რომ ვერა ისევ იმ გრძელის სიჩუმით ლაპარაკობდა, ეს სიჩუმე უფრო საშინელი და უფრო მძლავრი ხდებოდა. როდესაც მამა ეგნატე მიწიდან გათეთრებულ თავს ასწევდა ხოლმე, ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამ დამაყრუებელ სიჩუმის მეოხებით მთელი ჰაერი თრთის და კანკალებსო, თითქოს ამ საშინელ ზღვაზე ქარი მხალი სდგასო. სიჩუმე ახრჩობდა, ყინულ ტალღებად გადადიოდა იმის თავზე და თმას უნიავებდა. სიჩუმე იმის მკვნესარე გულს ეხეთქებოდა, ზედ ენთხეოდა. მღვდელი აკანკალდა, აქეთ-იქით იცქირებოდა, თან ნელა დგებოდა და დიდხანს სცდილობდა წელში გასწორებას. უნდოდა თავის მთრთოლვარე ტანისთვის ამაყი შეხედულება მიეცა. მოახერხა კიდეც ეს. განზრახ ნელა გაიბერტყა მუხლის თავები, ქუდი დაიხურა, საფლავს სამჯერ პირჯვარი გადასწერა და მძიმე, თანაბარ ნაბიჯით წავიდა. მაგრამ ნაცნობი სასაფლაო ველარ იცნო და გზა დაჰკარგა.

— გზა ამერია!—ჩაიცინა მამა ეგნატემ და იქ გაჩერდა, სადაც ბილიკი იყოფებოდა. მხოლოდ ერთ წამს შეჩერდა, მეორე-კი მარცხნივ შეუხვია, იმიტომ რომ დგომა და ცდა არ შეიძლებოდა: სიჩუმე ეწევებოდა, რომელიც მწვანე საფლავებიდან დგებოდა ამ სიჩუმით სუნთქავდნენ პირქუში ჯვრები...

მამა ეგნატემ თან და-თან ფეხს აუჩქარა. გარეტიანებული, იგი ერთსა და იმავე ბილიკზე დარბოდა, საფლავებს ზედ ახტებოდა, მოაჯირებს აწყდებოდა, მაგარ და მჩხვლეტავ გვირგვინებს ებღაუჭებოდა. იმის თავში მხოლოდ ერთი აზრიღა დარჩა: ჩქარა გასულიყო იქიდან. აქეთ-იქით ფართხალებდა და ბოლოს, არა ჩვეულებრივად გაფრიალებულ ანაფორით და ჰაერში გაშლილ თმებით იგი უხმოდ გაიქცა. ის ველური, მხტომარე და ხელებ გაშლილი ფიგურა რომ ვისმეს შეჰხვედროდა, მისი უგონო, გადაგვარებული სახე რომ ვისმეს დაენახა, იმის ღია პირიდან ამომავალი ყრუ ხმა რომ ვისმეს გაეგონა, უფრო მეტად შეშინდებოდა, ვიდრე საფლავიდან ამდგარ მიცვალებულის დანახვაზე.

გაქანებული მღვდელი იმ მოედანზე გადმოხტა, რომლის ბოლოშიაც სასაფლაოს დაბალი ეკლესია მოსჩანდა. კარებთან სკამზე ვიღაც ბებერი სთვლემდა. როგორც ეტყობოდა, შორიდან მოსულ მლოცავი უნდა ყოფილ-ყო იმის გვერდით ორი მათხოვარი დედა-კაცი იგინებოდა და ჩხუბობდა.

როცა მამა ეგნატე სახლს მიუახლოვდა, უკვე ბნელდებოდა და ფოფოდიას ოთახში სანთელი ენთო. მღვდელმა არც ანაფორა გაიხადა, არც ქუდი მოიხადა, მტვრიანი და დაფლეთილი სწრაფად ცოლთან შევიდა და მუხლის თავებზე დაეცა...

— შემიბრალე!... — ქვითინებდა იგი:—ჭკუიდან ვიშლები...

თავს მაგიდაზე ახლიდა და იმ ადამიანივით ღრიალებდა, რომელიც არას დროს არა ტირის ხოლმე.. ბოლო თავი ასწია. დარწმუნებული იყო, რომ სასწაული მოხდებოდა, იმისი ცოლი ხმას ამოიღებდა და შეიბრალებდა.

— ძვირფასო!

მთელი თავის დიდი ტანით ცოლისკენ მიიწია და ნაცრის ფერ თვალებს შეჰხედა. ამ თვალებში არც შებრალება იყო, არც გაჯავრება. იქნება ცოლმა აპატია და შეიბრალა კიდეც, მაგრამ იმის თვალებზე არა სჩანდა არც შებრალება და არც პატიება. თვალები მუნჯი იყო და დუმებული.

. . . . . . . . . . . . . . .

დუმდა მთელი დაცარიელებული სახლი.

ი. ტ.

ლად ვულოცავ მათ საქართველოს მოციქულის წმ. ნინოს დღესასწაულს. ვისურვებ, რომ წმ. ნინო თავის ზეციური მადლით და უფლის წინაშე ვედრებით დახმარებიყოს ყველა იმას, ვინც შრომობს საქართველოს გასანათლებლად მოძღვრებით, დარიგებით და კეთილის საქმით. ღვთის შეწევნით, ვფიქრობ ტფილისში ჩამოვიდე ასე 25 იანვარს. საქართველოს ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი ინოკენტი.

**რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** 8 იანვარს პეტერბურგში, გზათა მინისტრის ბრძანებით შემდგარი განსაკუთრებული კომისია უკვე შესდგომია ტფილის-კავკავის რკინის გზის საკითხის განხილვას. კამისიაში მონაწილეობას იღებენ: შინაგან საქმეთა, ფინანსთა, გზათა და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენელნი და სპეციალისტი-ელექტრო-ტეხნიკოსები. რკინის გზის პროექტი უკვე ორჯერ განიხილეს, ერთხელ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიასთან არსებულმა ტეხნიკურმა კომისიამ და ნამესტნიკის ბრძანებით შემდგარმა უწყებათა-შორისო კამისიამ. რკინის გზა, სიგრძით 202 ვერსი, უნდა აშენდეს 3 წლის განმავლობაში. რკინის გზა დაჯდება სულ 24 მილიონი მანეთი, პეტერბურგის კამისიაში მომხსენებლებად გამოვლენ: გზის პროექტის ავტორი ინჟენერ-პოლკოვნიკი კუჩინსკი და ინჟენერი გრაფტიო.

---

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ტენტაჟილის სიკვდილი“, პიესა ხუთ მოქმედებად ბორის მეტერლინკისა, თარგ. თამარ ნათიშვილისა; სურათები: წმიდა ნინო, მადონნა და კარიკატურა.**

---

**გასამართლება** როგორც გადმოგვცეს, ქალთა ერთ ჯგუფს აზრადა აქვს გამართოს ისეთი გასამართლება, როგორიც ამას წინად მოხდა ქართულ თეატრში. გასამართლებული იქნება ნინოშვილის მოთხრობის „ქრისტინეს“ გმირი იასონ უქმაძე, ქრისტინეს გამაუპატიურებელი. ბრალმდებლად ქალი გამოვა.

**ახალი ექსარხოსი.** „გოლოს მოსკვის“ კორესპონდენტს ულაპარაკნია საქართველოს ახალ ექსარხოს ინოკენტისთან. კორესპონდენტი შეჰკითხებია ექსარხოსს, თუ რაში უნდა გამოიხატოს მისი მომავალი მოქმედება საქართველოში. მთავარ-ეპისკოპოს ინოკენტის უთქვამს: მე პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებს გარეშე ვიმოქმედებ. უპირველესი და ერთად-ერთი ჩემი მიზანი იქნება საქართველოში ქრისტიანული მშვიდობიანობა და ეკლესიაში წესრიგი დავამყარო. მე საქართველოში მშვიდობიანობის ქადაგებით ჩავალ. მშვიდობიანობა ერთად-ერთი საძირკველია, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ივერიის ეკლესიის მომავალი მოწესრიგებაო. მთავარ-ეპისკოპოსი ინოკენტი ქართულის შესწავლის შესდგომია.

**თავის მოკვლა.** 13 იანვარს ტფ. კადეტთა კორპუსში რევოლვერით თავი მოუკლავს მეშვიდე კლასის მოწაფეს თავ. ვლადიმერ ანდრონიკაშვილს.

**თავ. ვასილ ჩერქეზიშვილი.** ა. ხატისოვს პეტერბურგიდან დეპეშა მოუვიდა. როგორც ამ დეპეშიდანა სჩანს, ქალაქის თავის თავ. ჩერქეზიშვილისთვის ოპერაცია გაუკეთებიათ და მარჯვენა თირკმელი ამოუცლიათ. ავადმყოფი კარგადა ჰგრძნობს თურმე თავს.

**სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება.** აზრადა აქვთ ბორჯომში გახსნან ტფ. სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება (ნ. რ.)

**ვაგონი გადასცდა ლიანდაგს.** 13 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის ვაგონი, № 80, აბანოების ქუჩისაკენ მიმავალი რტიშჩევისა და ლერმონტოვის ქუჩების შესართავთან ლიანდაგს გადასცდა, არავინ დაშავებულა.

**სახალხო ლექციები.** სახალხო უნივერსიტეტმა მოიწვია ლექტორი მელიქ შახნაზაროვი, რომელიც სახალხო სახლში წაიკითხავს ოთხ ლექციას შემდეგ თემებზე: 1. „ახალი დროის დაწყება და დანტეს პოეზია“; 2. „ხრისტეფორე კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“; 3. „იოგანე გუტენბერგი და წიგნის საბეჭდავის გამოგონება“; 4) „მარტინ ლიუტერი და რეფორმაცია“ პირველი ლექცია წაიკითხება კვირას, 31 იანვარს.

**ბრძანება.** ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, შეამოწმონ ტრაქტირები და სხვა ამ გვარი სავაჭროები, აქვთ თუ არა ამ წლისათვის აღებული პატენტები. ვინც უპატენტო აღმოჩნდება, დუქნებს დაუკეტენ ახალ პატენტების შეძენამდე და პასუხის გებაშიაც მისცემენ.

**სასჯელის მოხდა.** „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემელი ს. ყიფიანი გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ორი თვით დააპატიმრეს, რადგან მან ჯარიმა 500 მან. ვერ გადაიხადა.

**ოლქის სასამართლო სოხუმში.** როგორც გავიგეთ, ამ ახლო მომავალში სოხუმში გაიხსნება ოლქის სასამართლო.

**საზოგადო კრება.** კვირას, 17 იანვარს, დილით 11 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებისა. კრება განიხილავს მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, მოხსენებას შემნახველ-გამსესხებელ კასის დაარსების შესახებ და სხვ. ამავე კრებაზე მოხდება არჩევნები კომიტეტის წევრებისა.

**კითხვები.** დღეს, 16 იანვარს, საღამოს 4—5 საათზე, კავკასიის საიმპერატორო-საექიმო საზოგადოების სადგომში ქ-ნი სკვორცოვა რუსულად ბავშვთათვის წაიკითხავს: „ფუტკარი“. კვირას, 17 იანვარს, ბავშვთათვის წაიკითხავენ: ბ-ნი მირანიანი, დილის 10—11 საათზე, სომხურად—„გიკარი“, ქ-ნნი ბარნაბიშვილისა, დილის 11—12 ნახ. ს., და ელიოზიშვილისა ქართულად, პირველი „მქინარე ტურფას“, მეორე „ბახტრიონს“. საღამოს 5—7 საათზე მოზრდილთათვის ექიმები ვ ღამბაშიძე და ნ. ხატისოვი წაიკითხავენ ლექციებს ადამიანის ფიზიოლოგიაზე, პირველი ქართულად, მეორე რუსულად.

**სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“.** გამოვიდა ამ წლის მეორე ნომერი სამეურნეო ჟურნალ „მოსავალისა“. ამ ნომერში მოთავსებულია წერილები ვ. რცხილაძისა, ვ. გულბაათიშვილისა, ახოშვილისა, ცხადაძისა გ. ნახუცრიშვილისა და სხვათა.

**ლექცია ივანე ჯავახიშვილისა.** ქართული საისტორიო და ეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აცნობებს ქართველ საზოგადოებას, რომ პრივატ-დოცენტის ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი ლექცია, რომელიც დანიშნული იყო 17 იანვრისათვის, წაკითხული იქნება დღეს, 16 იანვარს.

**გამართლება.** როგორც გადმოგვცეს, ოდესაში სამხედრო სასამართლოს გაურჩევია შალვა მესხიშვილის საქმე და სრულიად გაუმართლებია იგი. მესხიშვილს რევოლიუციაში მონაწილეობა და მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება ჰბრალდებოდა. მესხიშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

**საზოგადო კრება.** ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების მართველ წრის გამგეობამ დაადგინა, დანიშნოს წრის წევრთა საზოგადო კრება მიმდინარე საქმეების განსახილველად 31 იანვრისთვის.

**კაპიტან ერმოლოვის დაპატიმრება.** „კუბან. კურიერ.“ სიტყვით, 7 იანვარს კავკავში დაუპატიმრებიათ ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი ცნობილი კაპიტანი ერმოლოვი. ერმოლოვს ჰბრალდება მუქარით ფულის აღება და გაფლანგვა.

ტფ. ქალაქის გასიდან უოველ წლივ 400 მან. ეძლევა რეალურ სასწავლებელში სწავლა დასრულებულ ორ ღარიბ მოწაფეს, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობენ სწავლას. ეს შემწეობა ითხოვა 9 სტუდენტმა. გამგეობამ ეს ფული დაუნიშნა ყაზარიანცს და მამიკონიანცს,

14 იანვრს დააპატიმრეს გეურქ მისაკიანცი, რომელიც საგენერალ გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. იმავე დღეს პოლიციის მე-8 ნაწილში პატრულმა ჩხრეკის დროს დააპატიმრა—25, ხოლო მე-11 ნაწილში—6 უპასპორტო კაცი.

## მოწერილი ამბები

**სოფ. გუბი** (იმერეთი). განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს 1905 წელს ს. გუბში გასტეხეს გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის კასსა, რომელშიაც გარდა ფულისა, ინახებოდა სესხის ბარათები, დავთრები და სხვა საჭირო საბუთები. როცა კასსა გასტეხეს, აღმოჩნდა რომ ფულად მარტო შვიდ მანეთამდე იყო. ბარათები, დავთრები და ყოველივე საბუთი მაშინვე დასწვეს. როგორც ბოროტი ენები მოგვითხრობენ, მაშინდელ გამგეობის ერთ წევრს, კასის გატეხის და დავთრებ-საბუთების დაწვის ხელის შემწყობს, უბეში ჩარჩენია ანაზღეულად 500 მან.*)

1909 წლის დეკემბრის 28-ს სოფ. გუბში მოხდა საგანგებო კრება გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრო 4/5 წევრებისა. კრება იყო მოწვეული მცირე კრედიტის ინსპექტორის გრ. კირაკოსიანცის მიერ, რომელსაც მთავრობისაგან მონდობილი ჰქონდა, გამოეცხადებინა ბანკის წევრებისათვის, ათი დღის განმავლობაში დაეკმაყოფილონ სხივარი იმ პირებისა, რომელთაც მიბარებული ჰქონდათ ფული შესანახად ხსენებულ გამს.-შემნახველ ამხანაგობის კასსაში. ცხარე კამათი იყო იმაზე, რომ ეთხოვათ მოვალეებისათვის ედროებინათ კიდევ ხუთიოდე თვე და მაშინ აარჩეშემის პარკის საშუალებით დაეკმაყოფილებინათ რამოდენიმეში მაინც. ეს საკითხი არ შეეხებოდა ინსპექტორს, თუმცა დიდის თანაგრძნობით ისმენდა გლეხების ხვეწნა-მუდარას.

საბედნიეროდ, ამ კრებას შემთხვევით დაესწრო ბ-ნი სოფ. იას. წერეთელი, რომელსაც სთხოვა ამხანაგობამ, ეკისრნა გამგეობის თავმჯდომარეობა და აღმოეჩინა სოფლებისთვის დახმარება ამ უკიდურეს მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ბ-ნმა წერეთელმა განუმარტა ამხანაგობის წევრებს: მართალია, კასსა გასტეხეს, ბარათები, დავთრები და ყველა საბუთები დასწვეს, მაგრამ ფული არ დაკარგულა—ეს ხომ ყველასთვის ცხადია. მაშასადამე, შესანახავად მიბარებული ფული ისევე თქვენა გაქვთ გატანილი სესხად და ამაზე ბარათებიც მიგიციათ გამგეობისთვის. მე იმ პირობით დავთანხმდები თქვენს წინადადებას, თუ ამხანაგობა აღადგენს ბანკის წარმოებას ისე, როგორც განსვენებულ ჩემი ძმის ნესტორის დროს იყო და თუ გააუქმებთ იმ გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც დაგიდგენიათ ამ ერთი წლის წინად იმ აზრით, რათა მოვალეები დაეკმაყოფილებინათ. როგორც ჰხედავთ, ამ წესით დაკმაყოფილება მოვალეებისა უფრო სამძიმო აღმოჩნდა. მე წინადაც გირჩევთ და ახლაც გირჩევთ აღადგინოთ ბანკის მოქმედება. თუ ჩემ რჩევას მიიღებთ, ვეცდები გიშოვნოთ საწარმოო ფული 5%-ით და მოვალეების ასე თუ ისე შეხერებასო.

ამხანაგობა აღტაცებით მიეგება წერეთლის წინადადებას და ერთხმად დაადგინა: 1. არჩეულ იქმნას გამგეობის თავმჯდომარედ ბ-ნი წერეთელი და 2. იმ დღიდან, როცა მოვალეებს მიეცემათ ვალის ნაწილი და დანარჩენზე ამხანაგობას ახალი ვალები ექნება, ბანკმა მოქმედება განაახლოს. ამნაირად დასრულდა ამხანაგობის კრება და დაიშალნენ იმ იმედით, რომ ბ-ნ წერეთლის ამ საქმეში ჩარევა ამხანაგობის საქმეს გამოაცოცხლებს.

**დამსწრე.**

*) თუმცა ამხანაგობას ეს 500 მ. არ ეკარგება, რადგან, როგორც ამბობენ, კუხის აბრეშუმის ფარდულის გამგეობას მართებია გუბის ბანკისა და გამგეობის ამ ერთ წევრისთვის გამოუტანებია შესატანად, მაგრამ ფული გუბის ბანკის სალაროში არ შეტანილა. ფარდულის გამგეობა ვალდებულია გარდაუხადოს ბანკს.

## შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონიის დიპლომატიური გამარჯვება**

როგორც უკვე ვიცით, იაპონიამ და იმის შემდეგ რუსეთმაც შეუწყნარებლად სცნეს ამერიკის წინადადება მანჯურიის რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ და ორივემ უარჰყვეს იგი. სხვა დიდმა სახელმწიფოებმაც არ დაუჭირეს მხარი ამერიკის წინადადებას და ამნაირად დიპლომატიური ბრძოლა ამერიკასა და იაპონიას შორის, ჯერ-ჯერობით მაინც, გათავდა იაპონიის გამარჯვებით. ამერიკის წინადადებას უმთავრესად იაპონია ჰქონდა ნიშანში ამოღებული. ამიტომ ამერიკას უმთავრესი წინააღმდეგობაც ამ საქმეში იაპონიამ გაუწია და თავისიც გაიტანა. იაპონიის მთავრობამ მაშინვე გადაჭრით უყოყმანოდ გამოაცხადა, რომ იგი არას დროს არ დასთანხმდება ამერიკის წინადადებას და თუ ამერიკა მანჯურიაში ისეთ რკინის გზის აშენებას დაიწყებს, რომელიც ცილაობას გაუწევს იაპონიის რკინის გზას (სამხრეთ მანჯურიის გზას), იაპონია ამ გარემოებას საკმაო საბუთად ჩასთვლის ომის გამოცხადებისთვისო.

იაპონიამ, როგორც უცხოეთისა და რუსეთის გაზეთები ირწმუნებიან, ძალა დაატანა რუსეთს და ჩინეთს და ამ ორს სახელმწიფოსაც უარი ათქმევინა ამერიკისთვის. იაპონია პირდაპირ დაემუქრა თურმე ჩინეთს: „ამერიკის წინადადების პასუხს ჩინეთს მოვსთხოვთო“.

ძალდატანებით იყო, თუ ნებაყოფლობით, ამერიკის წინადადებას არც ერთმა დიდმა სახელმწიფომ არ დაუჭირა მხარი და ამ დიდად საინტერესო დიპლომატიურ ბრძოლიდან იაპონია ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო ამერიკა დამარცხებული.

**რუსულ პრესის აზრი იაპონიის გამარჯვებაზე.**

რუსული პროგრესიული პრესა ბევრს წერილს უძღვნის იაპონიის ახალ დიპლომატიურ გამარჯვებას. რუსული პროგრესიული გაზეთები აშკარად გულწრფელად ემხრობოდნენ ამერიკის წინადადებას და პეჯითად ურჩევდნენ რუსეთის მთავრობას, მიეღო ეს წინადადება, თავიდან მოეშორებინა მანჯურიის რკინის გზა, რომელსაც დიდი ზარალის მეტი არა მოაქვს რა რუსეთისთვის, და სამუდამოდ გამოსცლოდა „შავბედით მანჯურიას“. ამიტომ ამ გაზეთებს ეხლა მეტად აცებს რუსეთის მთავრობის და მეტადრე გარეშე საქმეთა მინისტრის ბ. იზვოლსკის ასეთი მოქმედება. „რუსკოე სლოვო“ გაოცებული სწერს:

„ამერიკის ნოტა მანჯურიის რკინის გზების ნეიტრალიზაციის შესახებ რუსეთმაც უარჰყო და იაპონიამაც. ეს უარი სრულიად ბუნებრივი და გასაგებია იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის კომურას მხრივ, მაგრამ დიდად გასაოცარია მოქმედება ბ. იზვოლსკისა, რომელიც მთლად მიემხრო იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრის აზრს. იაპონია, როგორც მოსალოდნელიც იყო, არ დასთანხმდა და ნებაყოფლობით ხელი არ აიღო თავის გამარჯვების ნაყოფზე—სამხრეთ და შუა მანჯურიაზე, რომელიც ომის შემდეგ თითქმის იაპონიის ფაქტიურ პროტექტორატს ქვეშ იმყოფება. მაგრამ რისთვის დაეხმარა ბ. იზვოლსკი იაპონიას და რისთვის გადაარჩინა იგი სრულს დიპლომატიურს განმარტოებას,—ამას მხოლოდ ისტორია თუ გაიგებს. რუსულ პრესის ნაწილი ირწმუნება, ვითომ ამერიკის წინადადებას, რომ დასთანხმდებოდა იზვოლსკი, იაპონია ომს გამოუცხადებდა რუსეთსაო, მაგრამ ეს დასაჯერებელი როდია ნუ თუ ჩვენ ისე დავეცით, რომ იაპონიის დაუკითხავად და ნებადაურთველად არ შეგვიძლიან ხელი ავიღოთ ჩვენს საკუთარ უფლებაზე? განათლებულ ქვეყნების ისტორიაში არა უოფილა ასეთ უცნაურ ძალდატანების მაგალითი“.

გაზეთი აღნიშნავს იაპონიის დიდ დიპლომატიურს გამარჯვებას და დასძენს: „იაპონური პრესა უკვე შურობს თავის სამშობლოს სასარგებლოდ გამოიყენოს თავის მთავრობის დიდი დიპლომატიური გამარჯვება და გულმოდგინედ ურჩევს რუსეთს კავშირი შეკრას იაპონიასთან. მართლაც და კავშირი იაპონიასთან ლოგიკური შედეგია ბ. იზვოლსკის უკანასკნელ ნოტისა. ამერიკა და გერმანია, რომლებთაც ზურგს უკანახ უდგანან სხვა დაინტერესებული სახელმწიფოები, რასაკვირველია, არ წავლენ მანჯურიიდან. პირიქით, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა მანჯურიაში მალე უფრო გაძლიერდება და ჩინელი გუბერნატორები ჩვეულებრივად ბეჯით დახმარებას გაუწევს ამერიკასა და გერმანიას. ძალა-უნებურად, ჩვენ მოძმე უნდა ვექბოთ ჩინეთისა, ამერიკისა და გერმანიის წინააღმდეგ და ისევ ძალა-უნებურად თვალნი ჩვენნი ტოკიოს უნდა მივაპყრათ.—ვინ ითამაშებს ამ მომავალ კავშირში პირველ როლს,—ამას გვგონია, რომ ბევრი ახსნა არა სჭირდება“,

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ს. ქვემო ქვიტირის აკაკის სახელობის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემო ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კერძო დახმარება აღმოუჩინეს წიგნთსაცავ-სამკითხველოს ფულისა და წიგნების შემოწირვით. შემოსწირეს: ორ-ორი მანეთი: გ. ავგერინომ, დ. ნიკოლაიშვილმა და გ. დ. მხეიძემ; თითო მანეთი: ა. ნიკოლაიშვილმა, ე. კახიანმა, გ. ა. მხეიძემ, ე. ოკრინსკიმ, დ. გოცირიძემ, ნ. ღლონტმა, დ. ჯორჯიკიამ, პ. ი. გოკიელოვმა, დ. ლორთქიფანიძემ, თ. ფირანაშვილმა და ი. ბუმბუეიშვილმა; თერთმეტი შაური—ს. დავითაიამ; ათ-ათი შაური: ქ-ნმა პელაგიამ, პ. ყიფიანმა, ვ. ს. ასათიანმა, ვ. კლდიაშვილმა, ნ. ჩიქოვანმა, მ. ჩოგოვაძემ, დ. ნიკოლაიშვილმა, ვ. შოთაძემ, ტ. გოცირიძემ, გ. მხეიძემ, მ. მდივანმა და ა. მდივანმა; ექვსი შაური—№№-მა; ხუთ-ხუთი შაური—დ. მაპაჯარიანმა და ვ. მახვილაძემ, ერთი აბაზი—ბ. სოხაძემ.

წიგნები შემოსწირეს: ის. კვიცარიძემ ღირებული 32 მან. 81 კაპ.; ვ. ბეჟანეიშვილმა—9 მან. 50 კაპ.; წიგნების გამომცემელმა ქართველ ამხანაგობამ—6 მან. 35 კაპ.; ბ. იმედაშვილმა—6 მან.; თ. ა. მთავრიშვილმა—5 მან. 31 კაპ.; ს. მდივანმა—4 მ. 70 კაპ.; ლ. ლომინაძემ—4 მან. 20 კაპ.; მღვ. დავ. ნასარიძემ—49 წიგნი; მ. მდივანმა—2 მან. 86 კაპ.; შ. ავალიანმა—2 მ. 70 კაპ.; ნ. მდივანმა—2 მ. 55 კაპ.; ი. ედილაშვილმა—2 მან.; ტ. ართმელაძემ—1 მან. 15 კაპ.; გ. გალუსტოვმა—1 მან.; ვ. მახვილაძემ—1 მან. და დ. კლდიაშვილმა 30 კაპ.

წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე **დ. ნ. ავალიანი.**

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქალ. ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს, რომელმაც შემოსწირა თორმეტი ცალი ქართული წიგნი სოფ. მარტყოფის სამკითხველოს.

ს. მარტყოფის სამკითხველოს გამგე მღ. **ალ. ეპიტაშვილი.**


## განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღოხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—39)

---

**პარიკ-მახერების ამქრის**

**მამასახლისი,**

თანახმად ამა წლის 14 იანვარს მომხდარ ოსტატთა ყრილობის ხელ-წერილისა, რომელიც დამყარებულია მის აღმატებულებაზის ბ-ნ გუბერნატორის 1909 წლის 26 დეკემბრის მოწერილობაზე, აცხადებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ საპარიკ-მახეროები 17 იანვრიდან

**კვირაობით დილიდანვე დაიკეტება.**

პარიკ-მახერების მამასახლისი (2—1030—1) **დავით ს. მხეიძე.**

**◀ ადგილების პატრონებს ▶**

**მირზოევის მამულში ავლაბარში**

იწვევენ კრებაზე კვირას, 17 იანვარს, ნაშუადღ. 1 საათზე. კრება მოხდება იქ, სადაც ადგილებია. კრებამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს საკითხი ვადამდე ადგილების გამოსყიდვის და იმ ფულის გასტუმრების შესახებ, რომელიც ადგილების პატრონს ეკუთვნის. ვინც კრებაზე არ გამოცხადდება, უნდა დაემორჩილოს დამსწრეთა გადაწყვეტილებას (1029 1—1)

---




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ-ფასიან საათებს! კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასახურით—„ხეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. საშუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი მემოწმებ. საათს და ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბეღდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

| Парижъ | 7 | S. Strumfeld |
|---|---|---|
| PARIS | | B-ard St. Marcel 76 |

**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კოხტა ძეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ.

(Метцль и K°. N 247). (8—6.—2)

---

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# მომავალი

## მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**გაზეთი ღირს:** ტფილისსა და ტფილისს გარეთ: ერთი წლის 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: ტფილისში 2 მან. 20 კაპ., ტფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. ერთი თვით: ტფილისში 80 კაპ., ტფილისს გარეთ 90 კაპ.

**◀ ცალკე ნომერი ერთი შაური ▶**

**ხელის მოწერა მიიღება:** ტფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3. ზემო სართული.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе. (4—3)

---

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

# ჯეჯილი

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიათ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთ“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—4) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**